

შპს „თიბისი ფეი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	12
5. ძირითადი საშუალებები	17
6. არამატერიალური აქტივები	18
7. მარაგები.....	18
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
9. საგადასახადო აქტივი/საგადასახადო ვალდებულებები.....	19
10. ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	19
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
12. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება.....	20
13. მიღებული სესხები	21
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	21
15. საკომისიო შემოსავალი.....	22
16. საკომისიო ხარჯი.....	22
17. სახელფასო ხარჯები.....	22
18. ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	22
19. სხვა ხარჯები.....	23
20. ფინანსური შემოსავალი.....	23
21. ფინანსური ხარჯი.....	23
22. პირობითი ვალდებულებები	23
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	27
25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	27

მმართველობის ანგარიშგება	38
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თიბისი ფეის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თიბისი ფეის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამის ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვას საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 აგვისტო, 2022 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თიბისი ფეის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თიბისი ფეის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვას საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)



შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 აგვისტო, 2022 წელი

შპს „თიბისი ფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	16,501	17,062
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსი		-	331
აქტივების გამოყენების უფლება		410	466
არამატერიალური აქტივები	6	3,281	2,118
		20,192	19,977
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	1,704	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	4,541	683
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9	-	142
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	10	-	4,330
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	46,850	54,024
		53,095	59,179
სულ აქტივები		73,287	79,156
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	70	1,170
გაუნაწილებელი მოგება	12	18,882	51,077
სულ კაპიტალი		18,952	52,247
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	15,745	-
საიჯარო ვალდებულებები		181	128
		15,926	128
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	34,854	26,464
მიღებული სესხები	13	3,236	-
საიჯარო ვალდებულებები		315	317
საგადასახადო ვალდებულებები	7	4	-
		38,409	26,781
სულ ვალდებულებები		54,335	26,909
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		73,287	79,156

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 16 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ირაკლი ხატიაშვილი
ფინანსური დირექტორი	_____	ანა ფავლენიშვილი

შპს „თიბისი ფი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
საკომისიო შემოსავალი	15	45,740	37,045
საკომისიო ხარჯი	16	(7,607)	(3,677)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		38,133	33,368
სხვა შემოსავალი		500	756
სახელფასო ხარჯები	17	(7,838)	(6,477)
ცვეთა და ამორტიზაცია		(4,151)	(3,602)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	18	(4,984)	(3,543)
საიჯარო და ტერმინალების განთავსების ხარჯი		(3,423)	(3,542)
სხვა ხარჯები	19	(2,451)	(2,033)
ჩამოწერის ხარჯი		(470)	(163)
საოპერაციო მოგება		15,316	14,764
ფინანსური შემოსავალი	20	3,020	2,632
ფინანსური ხარჯი	21	(968)	(61)
მოგება (ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა		(151)	14
მოგება დაბეგვრამდე		17,217	17,349
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(7,412)	-
მთლიანი სრული შემოსავალი		9,805	17,349

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თიბისი ფეი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,170	33,728	34,898
მთლიანი სრული შემოსავალი	-	17,349	17,349
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,170	51,077	52,247
მთლიანი სრული შემოსავალი	-	9,805	9,805
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(1,100)	-	(1,100)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(42,000)	(42,000)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	70	18,882	18,952

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თიბისი ფი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		17,217	17,349
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		4,151	3,602
წმინდა ზარალი გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერიდან		321	-
(მოგება) ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა		151	(14)
ფინანსური შემოსავალი	20	(3,020)	(2,632)
ფინანსური ხარჯი	21	968	61
		19,788	18,366
საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(3,864)	(90)
მარაგები		(1,704)	-
საგადასახადო აქტივი/ვალდებულებები		146	(525)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (კლება)			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		8,389	1,442
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		22,755	19,193
გადახდილი პროცენტი მიღებულ სესხებზე		(857)	-
საიჯარო ვალდებულების პროცენტის დაფარვა		(115)	(61)
მიღებული პროცენტები მიმდინარე ანგარიშებიდან და		2,820	2,230
მოთხოვნამდე დეპოზიტიდან			
გადახდილი მოგების გადასახადი		(7,412)	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		17,191	21,362
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(2,792)	(1,671)
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსი		-	(331)
არამატერიალური აქტივების შეძენა	6	(1,628)	(981)
მიღებული პროცენტი ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული	20	200	402
თანხებიდან			
ფინანსურ ინსტიტუტებში თანხის გამოტანა (განთავსება)		4,330	(2,204)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		110	(4,785)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა		(965)	-
სესხის აღება		19,882	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება		(1,100)	-
გადახდილი დივიდენდები		(42,000)	-
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა		(272)	(354)
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(24,455)	(354)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)		(7,154)	16,223
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	54,024	37,790
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის			
ეკვივალენტებზე		(20)	11
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	11	46,850	54,024

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თიბისი ფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თიბისი ფი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2008 წელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქმიანობა განავითარა სწრაფი გადახდების ბაზარზე. კომპანია დარეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204559361.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის მომენტალური გადახდების მომსახურების გაწევა ვებ გვერდის, მობილური აპლიკაციისა და სწრაფი ჩარიცხვის თვითმომსახურების აპარატების მეშვეობით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის სს „თიბისი ბანკი“. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა 7.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, თანხები მოცემულია ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ჯგუფს უფლება გადავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-შიშესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მასი სავალდებულო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობებს.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ქვემოთ მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი არეები, რომლებიც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს:

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები** - იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები
- სხვა ფინანსური აქტივები
- სხვა ფინანსური ვალდებულებები
- მიღებული სესხები
- საიჯარო ვალდებულებები

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ რეპორტებს, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის ეფექტურობისა და პოლიტიკების შემოწმება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი;
 - საპროცენტო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	46,850	54,024
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	-	4,330
სხვა ფინანსური აქტივები	4,196	540
	51,046	58,894

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაანალიზებლად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ლიკვიდურობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14	34,854	-	34,854
საიჯარო ვალდებულებები		379	243	622
მიღებული სესხები	13	5,463	20,030	25,493
		40,696	20,273	60,969

შპს „თიბისი ფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14	26,464	-	26,464
საიჯარო ვალდებულებები		361	355	716
		26,825	355	27,180

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	სხვა ვალუტა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	11	43,899	2,951	46,850
სხვა ფინანსური აქტივები	8	4,196	-	4,196
		48,095	2,951	51,046
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14	34,854	-	34,854
საიჯარო ვალდებულება		94	402	496
მიღებული სესხები	13	18,981	-	18,981
		53,929	402	54,331
ღია საბალანსო პოზიცია		(5,834)	2,549	(3,285)

შპს „თიბისი ფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	სხვა ვალუტა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	11	52,102	1,922	54,024
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	10	4,330	-	4,330
სხვა ფინანსური აქტივები	8	540	-	540
		56,972	1,922	58,894
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14	26,464	-	26,464
საიჯარო ვალდებულება		54	391	445
		26,518	391	26,909
ღია საბალანსო პოზიცია		30,454	1,531	31,985

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავალუტო რისკის მგრძნობელობა	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	+20%	-20%	+20%	-20%
სხვა ვალუტების ეფექტი	510	(510)	306	(306)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობაზე. კომპანიამ 2021 წელს აიღო სესხები ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან და მათ გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი. კომპანია აკეთებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზს. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, საპროცენტო განაკვეთის 1%-ის ცვლილებას მოგება ან ზარალზე ექნება 184 ათასი ლარის ეფექტი. (2020: 0 ლარი)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ. ცხრილი წარმოადგენს კომპანიის საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებსა და საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის.

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები	24,396	27,145
სულ საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	19,477	(445)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა	4,919	26,700

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რელიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე ისინი არ არიან წარმოდგენილნი ფასს 7-ის რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს „თიბისი ფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ტერმინალები	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	მარაგი ნაწილები	სხვა	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	22,745	1,220	1,118	899	528	26,510
შემოსვლა	1,805	145	268	3,010	29	5,257
გასვლა	(13)	(7)	(27)	(2,199)	(2)	(2,248)
შიდა ჯგუფური მოძრაობა	1,015	-	-	(1,015)	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	25,552	1,358	1,359	695	555	29,519
შემოსვლა	2,149	366	574	-	34	3,123
გასვლა	(285)	-	-	(98)	-	(383)
შიდა ჯგუფური მოძრაობა	597	-	-	(597)	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	28,013	1,724	1,933	-	589	32,259
დაგროვილი ცვეთა						
2019 წლის 31 დეკემბერი	(8,391)	(531)	(275)	-	(304)	(9,501)
დარიცხული ცვეთა	(2,396)	(281)	(241)	-	(85)	(3,003)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	13	7	25	-	2	47
2020 წლის 31 დეკემბერი	(10,774)	(805)	(491)	-	(387)	(12,457)
დარიცხული ცვეთა	(2,692)	(333)	(331)	-	(67)	(3,423)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	122	-	-	-	-	122
2021 წლის 31 დეკემბერი	(13,344)	(1,138)	(822)	-	(454)	(15,758)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2020 წლის 31 დეკემბერი	14,778	553	868	695	168	17,062
2021 წლის 31 დეკემბერი	14,669	586	1,111	-	135	16,501

შპს „თიბისი ფეი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	პროგრამები	ლიცენზიები	ონლაინ პროდუქტები	არამატერიალური აქტივები მზადების პროცესში *	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	356	11	-	1,419	1,786
შემოსვლა	-	12	-	969	981
მოძრაობა	-	-	976	(976)	-
2020 წლის 31 დეკემბერი	356	23	976	1,412	2,767
შემოსვლა	-	4	-	1,624	1,628
მოძრაობა	723	-	813	(1,536)	-
გასვლა	-	-	(138)	-	(138)
2021 წლის 31 დეკემბერი	1,079	27	1,651	1,500	4,257
დაგროვილი ამორტიზაცია					
2019 წლის 31 დეკემბერი	(221)	(5)	-	(113)	(339)
ამორტიზაცია	(25)	(18)	(44)	(223)	(310)
2020 წლის 31 დეკემბერი	(246)	(23)	(44)	(336)	(649)
ამორტიზაცია	(332)	(4)	(69)	-	(405)
მოძრაობა	-	-	(336)	336	-
გასვლა	-	-	78	-	78
2021 წლის 31 დეკემბერი	(578)	(27)	(371)	-	(976)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2020 წლის 31 დეკემბერი	110	-	932	1,076	2,118
2021 წლის 31 დეკემბერი	501	-	1,280	1,500	3,281

* 2021 წელს ექსპლუატაციაში შევიდა კომპანიის მობილური აპლიკაციისა და ვებსაიტის დამატებითი ფუნქციონალები. ასევე, ექსპლუატაციაში შევიდა SAP Business one-ისა და Qlick Sence-ის ნაწილი, იდენტიფიკაციის ჰაბი. დარჩენილი მზადების პროცესში მყოფი არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ვებ-საიტისა და მობილური აპლიკაციის დამატებით დეველოპმენტს, SAP Business One და Qlik Sence პროგრამებისა და სხვა შიდა რესურსით შემუშავებული სისტემების დანერგვას.

7. მარაგები

მარაგი ნაწილები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021
2020 წლის 31 დეკემბერი	-
შემოსვლა	5,536
ჩამოწერა	(3,832)
2021 წლის 31 დეკემბერი	1,704

მარაგი ნაწილები წარმოადგენს სწრაფი გადახდის ტერმინალების ნაწილებს საკუთარი მოხმარებისთვის. მარაგი-ნაწილები ჩამოწერილია ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების სხვადასხვა მუხლში შინაარსიდან გამომდინარე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ გადახედა თავის მსჯელობას მარაგი ნაწილების ძირითად საშუალებებში წარდგენასთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მათი სწრაფად ბრუნვადობის და ხშირი გამოყენების გამო დააკლასიფიციროს, როგორც მარაგები.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად :

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	4,241	271
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(45)	(34)
სავაჭრო მოთხოვნები - წმინდა	4,196	237
 არაფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	345	446
სულ	4,541	683

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნებიდან 45 ათასი ლარი არის 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე და 100%-ით გაუფასურებული (2020: 34 ათასი ლარი). დარჩენილი თანხა არის მიმდინარე და არ არის გაუფასურებული.

9. საგადასახადო აქტივი/საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს საგადასახადო პორტალის გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით, ოდენობით 4 ათასი ლარი (ვალდებულება) და 142 ათასი ლარი (აქტივი), შესაბამისად.

10. ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები

2021 წელს კომპანიამ დახურა სადეპოზიტო სერთიფიკატები, რომელიც შეიძინა 2020 წელს. მათზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 200 ათასი ლარი. (2020 წლის 24 აპრილს და 12 ივნისს კომპანიამ შეიძინა სადეპოზიტო სერთიფიკატები სს "თიბისი ბანკისგან", თითოეული ღირებულებით 2,000 ათასი ლარი. სერთიფიკატის ვადიანობა იყო 12 თვე და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 13% და 13.5%, შესაბამისად. 2020 წლის მანძილზე დარიცხულმა და მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა აღნიშნულ დეპოზიტებზე შეადგინა 402 ათასი ლარი).

შპს „თიბისი ფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	24,580	36,709
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,284	832
ნაღდი ფულის ნაშთი ქსელში	20,986	16,478
ფული გზაში	-	5
	46,850	54,024

კომპანიას ერიცხება საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტზე. დეტალებისთვის, იხილეთ შენიშვნა 20.

ნაღდი ფული ბანკში მოიცავს საბანკო ანგარიშებს, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პროვაიდერებისა და აგენტების მიერ ყოველდღიური საბანკო ოპერაციებისა და მათ მიმართ არსებული ვალდებულებების ანგარიშსწორებისათვის.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნულ ანგარიშზე ნაშთი შეადგენს 17,074 ათას ლარს (2020 წელი: 15,412 ათასი ლარი). ამ საბანკო ანგარიშით იზღუდება დივიდენდების გადახდა და იგი განკუთვნილია აგენტების და პროვაიდერების მიმართ ვალდებულებების დასაფარად.

კომპანიის არც ერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

ბანკში განთავსებული ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სს „თიბისი ბანკი“	25,548	36,996
სს „ლიბერთი ბანკი“	170	296
სს „ვითიბი ბანკი“	146	238
სს „ფინკა ბანკი საქართველო“	-	11
	25,864	37,541

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

12. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 70 ათასი ლარს და 1,170 ათას ლარს, შესაბამისად. 2021 წელს, მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე, საწესდებო კაპიტალი შემცირდა 1,100 ათასი ლარით.

დამფუძნებელთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, 2021 წელს გამოცხადდა დივიდენდი 42,000 ათასი ლარის ოდენობით (2020: 0 ლარი).

დივიდენდის სახით განაწილებულ დაგროვილ მოგებაზე დარიცხული გადასახდელი მოგების გადასახადი და მოგების გადასახადის ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021
გამოცხადებული დივიდენდი	42,000
გადასახდელი მოგების გადასახადი	7,412
მოგების გადასახადის ხარჯი	7,412

შპს „თიბისი ფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

13. მიღებული სესხები

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგი სახით

მიღებული სესხები	დასრულების თარიღი	პროცენტი	ვალუტა	31 დეკემბერი 2021
სს „ბაზისბანკი“	24 აგვისტო 2026	სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 3%	ლარი	12,297
სს „იშბანკი“ საქართველო	24 აგვისტო 2026	სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს + 3%	ლარი	6,620
დარიცხული პროცენტი				64
				18,981
მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				3,236
მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				15,745
				18,981

მიღებული სესხები არის უზრუნველყოფილი კომპანიის საკუთრებაში არსებული და მთელი სამომავლო ქონებით, ასევე სწრაფი გადახდის აპარატებით.

ფინანსური შეზღუდვები ფიქსირდება მხოლოდ სს "ბაზის ბანკთან" არსებულ სესხზე, მაგრამ არ არის აქტიური 2021 წლისთვის და ამოქმედდება 2022 წლიდან.

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021
1 იანვარი	-
ფულადი ცვლილებები	
წლის განმავლობაში მიღებული სესხები	19,882
ძირის გადახდა	(965)
პროცენტის გადახდა	(857)
არაფულადი ცვლილებები	
დარიცხული პროცენტი	921
31 დეკემბერი	18,981

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ვალდებულებები		
ვალდებულებები პროვაიდერებთან	32,373	24,053
ვალდებულებები აგენტებთან გაწეული მომსახურებიდან	797	1,184
სახელფასო ვალდებულებები	1,001	492
სხვა ვალდებულებები	683	735
	34,854	26,464

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

15. საკომისიო შემოსავალი

საკომისიო შემოსავალი მომხმარებელთა ინდუსტრიების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
საბანკო მომსახურება	21,305	17,762
აზარტული თამაშები	15,451	10,929
საშუამავლო მომსახურება*	1,409	1,428
მობილური ოპერატორები, კომუნიკაცია და ინტერნეტი	3,182	3,211
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	857	770
სხვა	3,536	2,945
	45,740	37,045

*საშუამავლო მომსახურება შეიძლება დაკავშირებული იყოს ნებისმიერი ინდუსტრიის საკომისიოსთან.

16. საკომისიო ხარჯი

საკომისიო ხარჯები შედგება გადამხდელის პროვადერთან და აგენტებთან გასაყოფი საკომისიოსგან, შუამავალი პროვადერების საკომისიო ხარჯისგან და გადახდასთან დაკავშირებული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის სერვისის ხარჯისგან. საკომისიო ხარჯებმა 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 7,607 ათასი ლარი და 3,677 ათასი ლარი, შესაბამისად.

17. სახელფასო ხარჯები

სახელფასო ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
ხელფასი	(5,624)	(4,373)
ბონუსი	(1,534)	(1,597)
დაზღვევა	(190)	(177)
სხვა	(490)	(330)
	(7,838)	(6,477)

18. ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები

ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
ტერმინალებთან დაკავშირებული ხარჯები	(4,157)	(2,949)
- მარაგი ნაწილები და სხვა ინვენტარი*	(3,140)	(2,164)
- პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(487)	(438)
- შენახვის ხარჯი	(223)	(166)
- ელექტრო ენერგიის ხარჯი	(116)	(79)
- ტრანსპორტირების ხარჯი	(48)	(37)
- შეკეთების ხარჯი	(37)	(34)
- სხვა ხარჯი	(106)	(31)
საწვავის ხარჯი	(827)	(594)
	(4,984)	(3,543)

* მარაგი ნაწილები და სხვა ინვენტარი მოიცავს ტერმინალების მომსახურებაზე გახარჯულ მარაგ ნაწილებს.

შპს „თიბისი ფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

19. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
რეკლამის ხარჯი	(454)	(483)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(373)	(251)
საბანკო და ინკასაციის ხარჯი	(349)	(349)
პროგრამული მხარდაჭერის ხარჯი	(271)	(135)
დაზღვევის ხარჯი	(247)	(225)
საკონსულტაციო ხარჯი*	(216)	(139)
კომუნალური ხარჯი	(188)	(111)
ოფისის ხარჯი	(178)	(191)
სხვა	(175)	(149)
	(2,451)	(2,033)

* 2021 და 2020 წლების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯმა შეადგინა 35 ათასი ლარი.

20. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
მიმდინარე ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	2,820	2,230
სადეპოზიტო სერტიფიკატზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	200	402
	3,020	2,632

21. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
საპროცენტო ხარჯი მიღებული სესხებიდან	(921)	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებიდან	(47)	(61)
	(968)	(61)

22. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

დაზღვევის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლიდან, როდესაც ადგილი ჰქონდა სამართალდარღვევას, სამი წელია გასული.

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ზემოთ ხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახადელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 2,832 ათასი ლარი. აღნიშნული გადასახადის გადახდა კომპანიას მოუწევს თუ დივიდენდის გაცემა მოხდება 2023 წლის 1 იანვრამდე (აღნიშნული თარიღის შემდეგ მშობელ კომპანიას აქვს ვალდებულება გადავიდეს ახალ დაბეგვრის რეჟიმზე). 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გაუნაწილებელი მოგების განაწილების შემთხვევაში კომპანიას აღარ მოუწევს დივიდენდის გაცემაზე მოგების გადასახადის გადახდა.

საოპერაციო რისკი

კომპანიის წინაშე არსებული რისკებიდან ერთ-ერთი მთავარია საოპერაციო რისკი, რომელიც არის არასათანადო ან გაუმართავი პროცესებისა და სისტემებისგან ადამიანის შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების შედეგად ზარალის მიღების რისკი. იგი მოიცავს იურიდიულ რისკს, მაგრამ არა – სტრატეგიულ და რეპუტაციის რისკებს, თუმცა რეპუტაციის რისკის მართვასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პრიორიტეტულია და კომპანიის საერთო რისკის კულტურის შემადგენელი ნაწილია. კომპანიას შეხება უწევს მრავალი სახის საოპერაციო რისკთან, მათ შორისაა: თაღლითობა და სხვა შიდა თუ გარე კრიმინალური ქმედებები; პროცესების, კონტროლის ან პროცედურების დარღვევა; სისტემების შეფერხებები ან გარე მხარისაგან კიბერშეტევები კომპანიის კლიენტებისათვის მომსახურების ან დამხმარე ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რაც თავის მხრივ საფრთხის ქვეშ აყენებს კომპანიის, მისი კლიენტების, პარტნიორების ან მომხმარებლების დაცულ ინფორმაციასა და ფინანსურ ოპერაციებს. კომპანიას ასევე გააჩნია ისეთი რისკები, რომლებიც იწვევენ კრიტიკული ფუნქციების მქონე სისტემების ან ბიზნესის შეფერხებას ისეთი მოვლენების შედეგად, რომლებიც კომპანიის კონტროლს საერთოდ ან ნაწილობრივ არ ექვემდებარება, როგორებიცაა: ბუნებრივი კატასტროფები, სატრანსპორტო ან კომუნალური მომსახურების შეფერხება და სხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი ან მომხმარებელთა მომსახურების შეწყვეტა ან წყვეტა და/ან ეკონომიკური ზარალი კომპანიისთვის.

ზემოთ განხილული საოპერაციო რისკები ვრცელდება ისეთ სიტუაციებზეც, როდესაც კომპანია მომსახურების გარე მომწოდებლებს ეყრდნობა. პოტენციურ თაღლითობათა სირთულის გათვალისწინებით იზრდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების მუდმივად გაუმჯობესების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკი ან შემცირდეს კომპანიის მიერ ზარალის მიღების რისკი.

საოპერაციო რისკების ეფექტურად მართვის მიზნით კომპანიაში არსებობს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური, რომლის პასუხისმგებლობაშიც, სხვადასხვა შემოწმებებთან ერთად შედის საოპერაციო რისკების მართვის მეორე ხაზის ფუნქციის შესრულება, რაც გულისხმობს სხვადასხვა პროცესების შესწავლას, ანალიზს და რეკომენდაციების გაცემას პირველი ხაზისთვის პროცესების გაუმჯობესების მიზნით. ამასთან ერთად, დამფუძნებელი კომპანიის შიდა აუდიტის დეპარტამენტი პერიოდულად ახორციელებს მესამე ხაზის ფუნქციის შესრულებას, რაც გულისხმობს სხვადასხვა პროცესების დამოუკიდებელ შიდა აუდიტორულ შემოწმებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	დაკავშირებული მხარე	ურთიერთობის სახე	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სს "თიბისი ლიზინგი"	სხვა დაკავშირებული მხარე	37
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	4,053
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	23,528
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	ხელმძღვანელობა	320

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	დაკავშირებული მხარე	ურთიერთობის სახე	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სს "თიბისი დაზღვევა"	სხვა დაკავშირებული მხარე	111
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	17,377
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	ხელმძღვანელობა	204

შპს „თიბისი ფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

ფინანსური ანგარიშგების არე	დაკავშირებული მხარე	ურთიერთობის სახე	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან
საკომისიო შემოსავლები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	17,889
საკომისიო შემოსავლები	სს "თიბისი ლიზინგი"	სხვა დაკავშირებული მხარე	58
საკომისიო ხარჯები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	(6,373)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	(60)
იჯარის ხარჯი	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	13
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	268
საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	3,019
სხვა ხარჯები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	(343)
სხვა ხარჯები	სს „თიბისი დაზღვევა“	სხვა დაკავშირებული მხარე	(87)

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

ფინანსური ანგარიშგების არე	დაკავშირებული მხარე	ურთიერთობის სახე	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან
საკომისიო შემოსავლები	სს "თიბისი ბანკი"	დედა კომპანია	12,916
საკომისიო შემოსავლები	სს "თიბისი დაზღვევა"	სხვა დაკავშირებული მხარე	72
საკომისიო ხარჯები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	(2,728)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	(60)
საიჯარო ხარჯი და ტერმინალების სივრცის გამოყენების უფლება	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	13
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	257
საპროცენტო შემოსავალი, სხვა ხარჯები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	2,632
სხვა ხარჯები	სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	(357)
სხვა ხარჯები	სს „თიბისი დაზღვევა“	სხვა დაკავშირებული მხარე	(119)

ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასსა და სხვა ანაზღაურებას. სულ ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ 2021 წელს შეადგინა 959 ათასი ლარი (2020: 690 ათასი ლარი).

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. აღნიშნულმა მოვლენამ და მსოფლიოს პასუხმა რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ამ მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ისეთ კომპანიებზეც, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები) რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირების დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მრავალ ფინანსურ რესურსზე წვდომაზე და ზოგადად სავაჭრო საქმიანობაზე.

მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანია ვერ აფასებს ზემოთ აღნიშნული მოვლენების გავლენას (ან შესაძლო გავლენას) კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ აქვს არსებითი ოპერაციები რუსეთისა და ბელორუსიის ბაზარზე მოქმედ პირებთან ან მოქალაქეებთან (აღნიშნულ ქვეყნებში რეგისტრირებულ პირებთან), რომელთაც შეეხოთ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული ფინანსური თუ სხვა შეზღუდვები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წელს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 4,250 ათასი ლარის ოდენობით.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციები გადაიანგარიშება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად ან იმ თარიღში არსებული კურსით, რომელშიც მოხდა გადაფასება.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით“, „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით“.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულსა და ფულის ეკვივალენტებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ თანხებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები არიან ისეთი ერთეულები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია უკვე განსაზღვრული თანხის ფულად ერთეულებად და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს.

ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები წარმოადგენს ისეთ ფულად სახსრებს, რომელიც კომპანიას განთავსებული აქვს კომერციულ ბანკებში 3 თვეზე მეტი ვადიანობით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

რეალური ღირებულებით შეფასება

ფასს 7 იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოითხოვს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაშიფვრას. რეალური ღირებულების იერარქიებია:

- **დონე 1:** მოქმედ ბაზრებზე არსებული იდენტური აქტივების კვოტირებული ფასები;
- **დონე 2:** სხვა, კვოტირებული ფასებისგან განსხვავებული, 1-ელ დონეში შემავალი ინფორმაცია, რომლებზეც შესაძლებელია პირდაპირი (ფასები) ან არაპირდაპირი (ფასებიდან გამომდინარე) გზებით დაკვირვების განხორციელება; და
- **დონე 3:** ინფორმაცია, რომლის გადამოწმება შეუძლებელია ბაზარზე დაკვირვებით.

რეალური ღირებულების იერარქიაში ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების კატეგორია განისაზღვრება რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ყველაზე დაბალდონიანი ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები მთლიანად შეფასებულია ამ სამიდან ერთ-ერთი დონით.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ძირითადი საშუალებები**აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. ძირითადი საშუალებებისთვის შეძენილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, კაპიტალიზდება როგორც შესაბამისი ძირითადი საშუალების ნაწილი.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება „კომპანიის“ მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სწრაფი გადახდის აპარატები	8-10
კომპიუტერები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები	4-5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	3-7

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში ამორტიზირდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯს მოიცავს „ცვეთა და ამორტიზაცია“, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანიის ამორტიზებული აქტივები მოიცავს პროგრამებს, ლიცენზიებსა და ვებ-გვერდს.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით. არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია 5-8 წლით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

კომპანიის მარაგები წარმოადგენს სწრაფი გადახდის ტერმინალების სათანადო ნაწილებს. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამება კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები არის გაუნაწილებელი მოგების განაწილება მათი გამოცხადების პერიოდში ან პერიოდის შემდგომ.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც:

(ა) კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც არის წარსული ქმედების შედეგი;

(ბ) მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსის გასვლა ვალდებულების დასაფარად; და

(გ) შესაძლებელია ვალდებულების საიმედო შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. პირობითი აქტივები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირობა შესრულებულია.

საგადასახადო აქტივი/ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საგადახდო მომსახურების გაწევა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის. საგადახდო მომსახურების გაწევისას კომპანიას შეიძლება გააჩნდეს პირდაპირი ხელშეკრულება საბოლოო მიმღებთან, ან გადახდები განხორციელოს შუამავალი პროვადერის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ გადახდის განხორციელების პროცესში ჩართულია შუამავალი პროვადერი, კომპანია იხდის საშუამავლო საკომისიოს. მომსახურების საკომისიო შეიძლება გადაიხადოს მომსახურების მიმღებმა კლიენტმა ან მიმღებმა კომპანიამ. წმინდა საკომისიო შემოსავალი შედგება თანხისგან, რომელიც კომპანიამ მიიღო უშუალოდ მომხმარებლისგან ან სერვისის მომწოდებლისგან.

ამასთან იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდის ოპერაციაში მონაწილეობს შუამავალი კომპანია, ხდება საშუამავლო მომსახურების საკომისიოს გამოკლება. ზემოთ მოცემულის გარდა კომპანია შემოსავალს იღებს სარეკლამო მომსახურების, ტექნიკური მხარდაჭერის, ტერმინალების იჯარის და სხვა საოპერაციო საქმიანობისგან. აღნიშნული მომსახურების შედეგები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია „შემოსავალი მომსახურების გაწევიდან“ და „სხვა საოპერაციო შემოსავალი“-ის სახით.

კომპანიის პოლიტიკა ზემოთ ჩამოთვლილ შემოსავლის მაფორმირებელი საქმიანობებისთვის არის მსგავსი და მათი დეტალები მოცემულია ქვემოთ:

შემოსავალი საგადახდო და სხვა მომსახურების გაწევით

შემოსავალი საგადახდო და სხვა მომსახურების მიწოდებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების შესაბამისად.

შემოსავალი სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან მოცემული სხვა ერთჯერადი მომსახურება გაიწევა. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა/მომსახურების მიღება, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის საკონტრაქტო ღირებულება არის როგორც ფიქსირებული, ისე ცვლადი. შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასებისა და ცვლადი მონაცემების მიხედვით.

წმინდა საკომისიო შემოსავალი შედგება თანხისგან, რომელიც კომპანიამ მიიღო უშუალოდ მომხმარებლისგან ან სერვისის მომწოდებლისგან. ამასთან იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდის ოპერაციაში მონაწილეობს შუამავალი კომპანია, ხდება საშუამავლო მომსახურების საკომისიოს გამოკლება.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური შემოსავალი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებზე განთავსებული თანხებიდან.

ფინანსური შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური ხარჯი მოიცავს მიღებულ სესხებსა და საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯებს.

ფინანსური ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სახელფასო ხარჯები

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული. სახელფასო ხარჯი მოიცავს ფიქსირებულ ხელფასებს, ბონუსებსა და არაფულად სარგებელს.

ტერმინალების განთავსების ხარჯი

ტერმინალების განთავსების ხარჯი წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლებიც არ შეიცავს „იდენტიფიცირებად აქტივს“ და არ ხდება ფასის 16 ოქტობრის მოქმედების სფეროში. ამ ოპერაციების გადახდების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის სახით, როგორც შეძენილი მომსახურება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

25. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შპს „თიბისი ფეი“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თიბისი ფეი“

მმართველობის ანგარიშგება

(2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის)

შინაარსი:

1. გენერალური დირექტორის წერილი.....	35
2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	35
3. კომპანიის განვითარების გეგმები	36
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	36
5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	36
6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	37
7. მმართველობა	37
8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	37
9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	38
10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	40
11. COVID-19-ის გავლენა კომპანიაზე	43

1. გენერალური დირექტორის წერილი

შპს „თიბისი ფი“ საგადახდო მომსახურების უმსხვილესი პროვაიდერია საქართველოში. კომპანია დაარსების დღიდან მიზნად ისახავს, სწრაფი საგადახდო აპარატებით, სხვა და სხვა საგადახდო სისტემებით და აპლიკაციებით მომხმარებლებს მაქსიმალურად გაუმარტივოს ამა თუ იმ სერვისის გადახდის გამოცდილება. თიბისი ფი მუდმივად ცდილობს ფეხი აუწყოს საკუთარი მომხმარებლების მზარდ მოთხოვნებს, იქნება ეს აპარატების დაფარვის დიდი ქსელით (დაახლოებით 4000 ტერმინალი) თუ ინოვაციური საგადახდო პროდუქტებით, ვებ გვერდის და აპლიკაციის სახით. კომპანიის საქმიანობის სფერო ფარავს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. თითოეული ამ სეგმენტისათვის სპეციფიურად მათ საჭიროებებზე მორგებული პროდუქტებით, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია 2021 წელს დანერგილი პროდუქტი ე.წ. Bulk Cash-In აპარატი, რომელიც საშუალებას აძლევს მსხვილ კორპორატიულ კლიენტებს ერთიანად შეიტანონ დიდი მოცულობის თანხა აპარატში. თვითმომსახურების ტერმინალებში გადახდების განხორციელება შესაძლებელია, როგორც ნაღდი ფულით, ასევე, საბანკო ბარათებით, ხოლო ვებ-გვერდის და მობილური აპლიკაციის შემთხვევაში მხოლოდ საბანკო ბარათებით. 2021 წელი განსაკუთრებულად მზარდი აღმოჩნდა ჩვენი ონლაინ პროდუქტებისთვის, სადაც წლის ბოლოსათვის დაახლოებით 270,000 რეგისტრირებული მომხმარებელი გვყავდა,

2021 წლის მთავარი გამოწვევა იყო, პოსტ-პანდემიური პერიოდი, როცა რიგითი ადამიანები და ბიზნესები ცხოვრების ჩვეულ რითმს დაუბრუნდნენ, რამაც ბუნებრივია გაზარდა მომართვიანობა ჩვენი სწრაფი გადახდის აპარატებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო კომპანიას ჩვეული მაღალი ხარისხით მოეხდინა გაზრდილი ნაკადების მომსახურება, რასაც თიბისი ფიმ წარმატებით გაართვა თავი.

2022 წლიდან კომპანიის ძირითადი აქცენტი იქნება სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესება და ბაზარზე ამ კუთხით ლიდერი პოზიციის დაკავება. შესაბამისად, შემდეგი წლიდან მნიშვნელოვან გაუმჯობესებას უნდა ველოდოთ როგორც სწრაფი გადახდის აპარატების, ასევე, ჩვენი ონლაინ პროდუქტების სამომხმარებლო გამოცდილების კუთხით. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული სიახლეები პოზიტიურად აისახება ჩვენი მომხმარებლების რაოდენობის ზრდასა და მათ კმაყოფილებაზე.

2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „თიბისი ფი“ დაფუძნებულია 2008 წელს სს „თიბისი ბანკის“ მიერ. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სწრაფი გადახდის აპარატებით ოპერირება, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს 24 საათიან რეჟიმში შეასრულონ, მათთვის სასურველი საგადახდო ოპერაციები. კომპანია სწრაფი გადახდის აპარატების გარდა მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ პროდუქტებს, ვებ საიტს tbcpay.ge და აპლიკაციას tbcpay, რომელთა საშუალებითაც კლიენტებს საშუალება აქვთ, სახლიდან გაუსვლელად, პლასტიკური ბარათით გადაიხადონ ყველა მათთვის სასურველი სერვისი.

შპს „თიბისი ფის“ საქმიანობა ფარავს როგორც ინდივიდუალურ პირებს, ასევე კორპორატიულ კლიენტებსაც, სპეციალურად მათთვის შექმნილია ისეთი პროდუქტები, როგორიც არის Cashbox და Bulk Cash-in, რომლებიც იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად სწრაფად შეძლონ მათ ხელთ არსებული ნაღდი ფულის ჩარიცხვა მათ საბანკო ანგარიშებზე.

2021 წელს, კომპანიამ კიდევ უფრო გააფართოვა თავისი საქმიანობა როგორც გადახდების ბიზნესის, ასევე ფულადი სახსრების მართვის კუთხით. თვითმომსახურების ტერმინალებით გადახდების რაოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 1.6%-ით და შეადგინა 42.7 მილიონი, 2020 წელს ეს რიცხვი 43.4 მილიონს აღწევდა, ხოლო გადახდების მოცულობა წინა წლის 3,963 მილიონიან მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 38.4%-ით და შეადგინა 5,486 მილიონი ლარი, რაც საერთო რაოდენობის და მოცულობის 89%-ს შეადგენს. ეს განპირობებული იყო პანდემიის გამო შეზღუდვების შემცირებით, ასევე, თვითმომსახურების ტერმინალების რაოდენობის ზრდით და ასევე, აღნიშნული ტერმინალების შესაფერისი ადგილმდებარეობის სწორად განსაზღვრით. ამჟამად, „თიბისი ფის“ აქვს 3,948 აქტიური თვითმომსახურების ტერმინალი, წინა წელს ეს რიცხვი 3,658-ს შეადგენდა. ფულადი სახსრების მართვის ოპერირების მოცულობამ შეადგინა 1,653 მილიონი ლარი 2021 წელს, რაც წინა წელთან შედარებით 33%-ით ზრდას ასახავს, ხოლო ასეთი ტერმინალების რაოდენობა 652-მდე გაიზარდა, წინა წელს ეს მაჩვენებლები შეადგენდა 1,244 მილიონ ლარს და 533-ს, შესაბამისად. ჩვენს მსხვილ კლიენტებს შორის არიან წამყვანი ნავთობკომპანიები, ფარმაცევტული კომპანიები და სურსათის მწარმოებლები საქართველოში. შედეგად, 2021 წელს ჩვენი საოპერაციო შემოსავალი წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა და შეადგინა 38.6 მილიონი ლარი, ხოლო ჩვენი EBITDA წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6%-ით და შეადგინა 19.5 მილიონი ლარი.

3. კომპანიის განვითარების გეგმები

თიბისი ფეის სტრატეგიაა, იყოს საქართველოში საგადახდო სერვისების უმსხვილესი პროვაიდერი და მომხმარებელს შესთავაზოს მაქსიმალურად კომფორტული და ინოვაციური პროდუქტები, მათი ცხოვრების გასამარტივებლად.

თიბისი ფეი ბაზარზე წარმოდგენილია რამდენიმე პროდუქტით და თითოეულ მათგანს საკუთარი როლი გააჩნია მომხმარებელთა ცხოვრების გამარტივებაში.

თვითმომსახურების ტერმინალები - წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას. კომპანია მუდმივად ცდილობს გააფართოვოს აპარატების დაფარვის ქსელი, ქვეყნის მასშტაბით რათა ყველა ქალაქის და რეგიონის მოსახლეობამ უწყვეტად შეძლოს ამა თუ იმ საგადახდო სერვისით სარგებლობა, ამ ეტაპისთვის თიბისი ფეის აპარატების ქსელი მოიცავს 4000-მდე სწრაფი გადახდის ტერმინალს. ასევე, უმნიშვნელოვანესია ის სამომხმარებლო გამოცდილება და ხარვეზების მყისიერი მოგვარება, რომელთა შეხება კომპანიის მრავალრიცხოვან მომხმარებლებს უწევთ. კომპანია მუდმივ რეჟიმში ზრუნავს სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესებაზე, რათა მისი პროდუქტების მოხმარება იყოს მაქსიმალურად კომფორტული.

ვებ გვერდი და აპლიკაცია - აღნიშნული პროდუქტები (აპლიკაცია ბაზარზე გაშვა 2019 წლიდან) მომხმარებელს საშუალებას აძლევს, სახლიდან გაუსვლელად, საბანკო ბარათის გამოყენებით, ისარგებლონ იგივე ტიპის სერვისით, რომელსაც სთავაზობს ქუჩებში განთავსებული თვითმომსახურების ტერმინალები. 2021 წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო ამ მიმართულებისთვის და წლის ბოლოსათვის რეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობამ 270,000-ს მიაღწია.

2022 განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება არსებული პროდუქტების დახვეწა-განახლებაზე, კერძო წლის ბოლომდე სრულად უნდა შეიცვალოს აპლიკაციის და ვებ-გვერდის დიზაინი, გახდეს უფრო თანამედროვე ინტუიტიური და კლიენტთა საჭიროებებზე მორგებული, ასევე უნდა დაინერგოს ფულადი გზავნილების ფუნქციონალი, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს სახლიდან გაუსვლელად დაისვას თანხა მისთვის სასურველ საბანკო ანგარიშზე. თვითმომსახურების ტერმინალში იგეგმება სრულიად ახალი UX/UI ფლოუს დანერგვა, რაც კლიენტებს საშუალებას მისცემს უფრო ნაკლები დრო გაატარონ ტერმინალთან და მიიღონ მათთვის სასურველი სერვისები გაცილებით მარტივად. ასევე, მნიშვნელოვანია ბანკის ტერიტორიაზე და მის გარეთ არსებული ტერმინალების სამომხმარებლო გამოცდილების გაერთვაროვნება, რათა მომხმარებელმა იდენტური მომსახურების მიღება შეძლოს, იდენტური ტარიფიკაციით. მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბანკის ოფლოუდინგის პროგრამაც, რომლის ფარგლებშიც სულ უფრო და უფრო მეტი კლიენტი გადმოიმსამართლება ფეის ტერმინალებში, რაც გარკვეული ტიპის ტექნიკურ-სერვისული ტიპის სიახლეების დანერგვას გულისხმობს.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს.


5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

შპს „თიბისი ფეი“ 2021 წელს 9%-ით გაზარდა თვითმომსახურების ტერმინალების ქსელი და საშუალო თვიური გადახდების რაოდენობამ და თანხამ შეადგინა 3.6 მილიონ გადახდა და 457 მილიონი ლარი შესაბამისად, რაც 2020 წელთან შედარებით წარმოადგენს 1.6%-იან კლებას რაოდენობაში, ხოლო ბრუნვაში 38.4%-იან ზრდას. ამასთან ერთად, 2021 წელს კომპანიის ჯამურმა გადახდებმა შეადგინა 55 მილიონი, ხოლო გადახდების მოცულობამ 6,135 მილიონი ლარი. გადახდები წინა წელთან შედარებით გაზრდილია 9,0%-ით, ზრდის ძირითადი გამომწვევი მიზეზი არის აგრეგაციის ბიზნესის ზრდა. ამავე პერიოდში ბრუნვა გაზრდილია 41%-ით. აგრეგაციის ბიზნესი არის კომპანიის ერთ-ერთი გაყიდვის არხი, როცა გადახდების სერვისის გადაყიდვა ხდება სხვა კომპანიაზე მათ შორის პროვაიდერ თუ შუამავალ პროვაიდერ კომპანიაზე.

2021 წლის განმავლობაში დაიხვეწა და განვითარდა ონლაინ პროდუქტებზე მუშაობის მიმართულება, კადრების რაოდენობა კომპანიაში გაიზარდა 3%-ით.

6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები



*მოკლევადიანი აქტივები/მოკლევადიან ვალდებულებებზე კოეფიციენტის გაუარესება განპირობებულია 2021 წლის აგვისტოში სესხის ათვისებით 20 მლნ ლარის ოდენობით.

საოპერაციო მაჩვენებლები

3,948	327	42.7 მლნ	2.63 მლნ
თვითმომსახურების ტერმინალები	კადრების რაოდენობა	გადახდა (თვითმომსახურების ტრმ)	გადახდა (ონლაინი)
3,658 (2020)	316 (2020)	43.4 მლნ (2020)	1.76 მლნ (2020)

7. მმართველობა

შპს „თიბისი ფი“ უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი და საშუალო რგოლის მენეჯერებისგან. კომპანიის დირექტორი და მისი მოადგილეები ყოველკვარტლურად აორგანიზებენ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას, სადაც ხდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხილვა და მიღება. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება ჩატარდეს უფრო ხშირად თუ ამის საჭიროება არსებობს.

8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ აქვს შეძენილი ან გასხვისებული აქციები.

შპს “თიბისი ფეი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

შპს „თიბისი ფეი“ ფინანსური შედეგები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2021	2020	ცვლილება
უკუგება კაპიტალზე ¹	28%	40%	-0,1 pp
უკუგება აქტივებზე ²	13%	25%	-0.1 pp
ხარჯი/შემოსავალთან ³	60%	57%	0.04 pp

კოეფიციენტების განსაზღვრება მოცემულია 46-ე გვერდზე.

მომგებიანობა

2021 წელს კომპანიის წმინდა მოგება შეადგინა 9,805 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 43.5%-ით ნაკლებია. აღნიშნული ფაქტორი გამოიწვია შემდეგმა მიზეზებმა: 2021 წელს კომპანიამ გასცა 42 მლნ ლარის ოდენობის დივიდენდი, რაზეც გადაიხადა 7.4მლნ ლარის მოგების ხარჯი, ამავე პერიოდში აითვისა სესხი 20 მლნ ლარის ოდენობით, რაზეც წლის განმავლობაში დაერიცხა 921 ათასი ლარის საპროცენტო ხარჯი. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით დაფიქსირდებოდა წმინდა მოგების ზრდა. ამავე პერიოდში, მთლიანი საოპერაციო შემოსავლები გაიზარდა 13%-ით, ხოლო საოპერაციო ხარჯები გაიზარდა 20.4%-ით. შედეგად, კომპანიის უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე შემცირდა და შეადგინა 28%, უკუგების კოეფიციენტი მთლიან აქტივებზე შემცირდა 13%-მდე.

ლ '000	2021	2020	ცვლილება
წმინდა მოგება	9,805	17,349	-43.5%
უკუგება კაპიტალზე ¹	27.5%	39.8%	-0.1 pp
უკუგება მთლიან აქტივებზე	12.9%	24.8%	-0.12 pp

წმინდა საკომისიო შემოსავალი

კომპანიის წმინდა საკომისიო შემოსავალმა 2021 წელს შეადგინა 38,133 ათასი ლარი, რაც წინა წლის მონაცემს აჭარბებს 14.3%-ით.

წმინდა საკომისიო შემოსავლის ზრდა ძირითადად განაპირობა თვითმომსახურების ტერმინალების და შესაბამისად, გადახდების ოდენობის ზრდამ. ასევე, გაიზარდა აგრეგაციის ბიზნესის მიმართულებით შემოსავალი.

ლ '000	2021	2020	ცვლილება
საკომისიო შემოსავალი	45,740	37,045	23.5%
საკომისიო ხარჯი	-7,607	-3,677	106.9%
წმინდა საკომისიო შემოსავალი	38,133	33,368	14.3%

სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავლები 2021 წლისთვის შეადგენდა 500 ათას ლარს, რაც 2020 წელთან შედარებით 33.9%-ით შემცირდა. კლების ძირითადი მიზეზი არის სარეკლამო შემოსავლების შემცირება, რაც ბაზარზე გამოწვეულმა ცვლილებებმა განაპირობა.

ლ '000	2021	2020	ცვლილება
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	450	710	-36.6%
სხვა საოპერაციო შემოსავალი	50	46	8.7%
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	500	756	-33.9%

9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ (გაგრძელება)**სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი**

2021 წელს სხვა არასაოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 1,901 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია. აღნიშნული შედეგი გამოწვეულია სესხის ათვისებით და შესაბამისად, საპროცენტო ხარჯის ზრდით 921 ათასი ლარით.

ლ '000	2021	2020	ცვლილება
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			
ფინანსური შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	2,052	2,571	-20.2%
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	-151	14	-1178.6%
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	1,901	2,585	-26.5%

საოპერაციო ხარჯები

2021 წელს მთლიანმა საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 23,317 ათასი ლარი, რაც 2020 წელთან შედარებით 20.4%-იან ზრდას წარმოადგენს. ზრდის ძირითადი მიზეზია ტრანსპორტისა და შენახვის ხარჯის ზრდა. აღნიშნული ხარჯის ოპტიმიზაცია და შემცირება მოხდა 2020 წელს პანდემიის გამო. 2021 წელს გაიზარდა, ასევე, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი. ცვეთის ხარჯის ზრდა გამოწვეულია ქსელში არსებული საშუალო ტერმინალების რაოდენობის 8%-იანი ზრდით და არამატერიალური აქტივების 55%-იანი ზრდით.

კომპანიის მთლიანი საოპერაციო ხარჯი/საოპერაციო შემოსავალთან 2021 წელს შეადგენდა 60.4%-ს, რაც გაუარესებულია 0,036 pp-ით წინა წლის იმავე მაჩვენებელზე.

ლ '000	2021	2020	ცვლილება
საოპერაციო ხარჯები			
სახელფასო ხარჯები	(7,838)	(6,477)	21%
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,151)	(3,602)	15.2%
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(4,984)	(3,543)	40.7%
საიჯარო ხარჯი	(3,423)	(3,542)	-3.4%
სხვა ხარჯები	(2,451)	(2,033)	20.6%
ჩამოწერისა და გაუფასურების ხარჯი	(470)	(163)	188.3%
საოპერაციო ხარჯები	(23,317)	(19,360)	20.4%
საოპერაციო ხარჯები/საოპერაციო შემოსავალთან	-60.4%	-56.7%	-0.036 pp

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება:

1. უკუგება კაპიტალზე უდრის მფლობელის კუთვნილ წმინდა მოგებას, შეფარდებული იმავე პერიოდის მფლობელის კუთვნილი კაპიტალის საშუალო მაჩვენებელზე.
2. უკუგება აქტივებზე უდრის წმინდა მოგებას, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე
3. ხარჯი/შემოსავალთან უდრის პერიოდის მთლიან საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიან საოპერაციო შემოსავალთან

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

„თიბისი ფეის“ სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკების მართვა. კომპანიის ბიზნეს პროფილიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია რისკების დროულად იდენტიფიცირება და ეფექტურად მართვა. 2021 წლიდან კომპანიაში არსებობს რისკების მართვის და შესაბამისობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ექვემდებარება კომპანიის დირექტორს და თავის მხრივ ანგარიშვალდებულია სამეთვალურეო საბჭოს მიმართ. რისკების მართვის და შესაბამისობის ერთეული ჩართულია რისკების იდენტიფიცირება-გამოვლენის, რისკების შეფასების და სამიტიგაციო ზომების განსაზღვრის პროცესში. კომპანიაში განსაზღვრულია რისკი აპეტიტის ჩარჩო და შემუშავებულია რისკების მართვის სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია დამფუძნებელი კომპანიის რისკების მართვის სტრატეგიასთან. ამასთან, კომპანიაში არსებობს შიდა აუდიტის და მონიტორინგის ერთეული, რომელიც არ არის ჩართული კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში, ახდენს სხვადასხვა პროცესების, მათ შორის დანერგილი კონტროლების ეფექტურობის დამოუკიდებელ შემოწმებას და თავის მხრივ წარმოადგენს რისკების დაცვის მესამე ხაზს.

ქვემოთ ჩამოთვლილია „თიბისი ფეის“ ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

1. კომპანიას აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი

შპს „თიბისი ფეის“, როგორც ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის, საქმიანობა რეგულირდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით, მათ შორის, საზედამხედველო ორგანოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ნორმატიული აქტებით.

2020 წლიდან საკანონმდებლო სივრცეში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადახდო მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათ შორის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით. საყურადღებოა ნაღდი ფულით თვითმომსახურების ტერმინალებზე შესრულებულ საგადახდო ოპერაციებზე გადამხდელების იდენტიფიკაციასა და ვერიფიკაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების დანერგვა. ამასთან, აღსანიშნავია დღის წესრიგში არსებული კანონპროექტები, რომელთა დამტკიცება კომპანიის მიერ შესაბამისი ცვლილებების განხორციელების და თანმხლები პროცესების დანერგვის აუცილებლობას განაპირობებს.

რისკის აღწერა

საზედამხედველო ორგანოს მხრიდან განსაზღვრული ახალი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაზუსტად შესრულება შესაძლებელია გახდეს ჯარიმის დაკისრების, ზოგიერთ შემთხვევაში კი ლიცენზიის გაუქმების საფუძველი. ამასთან, არსებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ფინანსური, ასევე საოპერაციო და რეპუტაციული რისკი.

რისკის მიტიგაცია

კომპანიის მიერ მასზე გავრცელებული საკანონმდებლო მოთხოვნების სრულყოფილად შესრულების მიზნით, კომპანიის რისკების მართვის და შესაბამისობის განყოფილება უზრუნველყოფს კომპანიაში საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკა/პროცედურების შემუშავებას, დანერგვას და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

2. საოპერაციო რისკები

რისკის აღწერა

საოპერაციო რისკების მიმართულებით საყურადღებოა შიდა და გარე თაღლითობა. გარე თაღლითობის გავრცელებული ფორმაა თვითმომსახურების ტერმინალების მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედება, შიდა თაღლითობა კი შეიძლება დადგეს „თიბისი ფეის“ თანამშრომლების მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისგან.

საოპერაციო რისკების მნიშვნელოვანი ნაწილია ტექნოლოგიური ინციდენტები, რომელმაც თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ბიზნეს უწყვეტობის რისკი. ამასთან საყურადღებოა საოპერაციო პროცესების სისუსტეებთან დაკავშირებული რისკები.

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

რისკის მიტიგაცია

კომპანიაში მუდმივად ხორციელდება ქმედითი ნაბიჯები, რომელიც ხელს უწყობს თვითმომსახურების ტერმინალების დაცულობის ზრდას და ამასთან, საოპერაციო დანაკლისების შემცირებას. ტერმინალებზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებების იდენტიფიცირების და სწრაფი რეაგირების მიზნით, გაუმჯობესებულია მონიტორინგის მექანიზმები.

გაუმჯობესებულია ინციდენტების იდენტიფიცირების და ინციდენტების აღმოფხვრის მიზნით, სამიტიგაციო ღონისძიებების განსაზღვრის პროცესი. საოპერაციო პროცესში სისუსტეების გამოვლენის მიზნით კი მუდმივად მიმდინარეობს კომპანიაში მოქმედი პროცესების და თანმდევი რისკების შეფასება.

3. კიბერშეტევებით გამოწვეული საფრთხე

შპს „თიბისი ფეის“ IT ინფრასტრუქტურა სრულიად განთავსებულია სს „თიბისი ბანკი“-ს გარემოში და კონტროლდება ბანკის სხვა ინფრასტრუქტურასთან ერთად. ამასთანავე, სისტემურად და ტექნიკურად მისი კონტროლი მიმდინარეობს თიბისი ფეის IT ოპერაციების განყოფილების მიერ. ამას გარდა, ის გარემოება, რომ ინფრასტრუქტურა თიბისი ბანკში არის განთავსებული თიბისი ფეის აძლევს საშუალებას მნიშვნელოვანი ინვესტიციების გარეშე მიიღოს ის სიკეთეები, ინფორმაციული თუ ტექნოლოგიური რისკების თავიდან აცილების კუთხით, რასაც თიბისი ბანკი აკეთებს საკუთარი სისტემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. „თიბისი ფეის“ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაფარვას ახორციელებენ „თიბისი ფეის“ ინფორმაციული უსაფრთხოების თანამშრომლები, ხოლო ინფრასტრუქტურის ნაწილის მოვლას ახდენს „თიბისი ფეის“ აიტი ოპერაციების განყოფილება. „თიბისი ფეის“ ვებ გვერდს გააჩნია FRAUD საწინააღმდეგო მოდულები, რომლებიც უზრუნველყოფს გარკვეული სახის დაცვას მომხმარებლების დასაცავად.

რისკის აღწერა

პოტენციური კიბერშეტევების რისკმა, რომელიც უფრო დახვეწილი გახდა, შეიძლება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვიოს. მსგავსი რისკები სწრაფად იცვლება და მოითხოვს განუწყვეტელ ყურადღებასა და ინვესტიციას.

ბოლო წლებში ქართულ კომერციულ ბანკებზე რაიმე სერიოზული კიბერშეტევა არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, შპს „თიბისი ფეის“ მზარდი დამოკიდებულება საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე ზრდის პოტენციური კიბერშეტევების რისკს.

რისკის მიტიგაცია

შპს „თიბისი ფეი“ ახორციელებს აქტიურ მონიტორინგს, აღმოაჩენს და თავიდან იცილებს კიბერშეტევების რისკს. ინფორმაციული უსაფრთხოების განყოფილება აკვირდება მოვლენებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, რათა აამაღლოს ცნობიერება კიბერშეტევების ახალი ფორმების მიმართ. შედეგის პრევენცია და განაწილებული უარყოფის სერვისი (DDoS) დამცავი სისტემებია, რომლებიც შეიქმნა კომპანიის დასაცავად გარე კიბერსაფრთხოებისაგან. არსებული უსაფრთხოების ინციდენტისა და მოვლენების მონიტორინგის სისტემები, შესაბამის პროცესებსა და პროცედურებთან ერთად, უზრუნველყოფს კიბერინციდენტების ეფექტურად მოგვარებას. ახალ პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით მუდმივად ახლდება და უმჯობესდება პროცესები. არსებული მონაცემების აღდგენის პოლიტიკა უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას სერიოზული კიბერშეტევების შემთხვევაში.

4. ლიკვიდობის რისკი

რისკის აღწერა

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას ექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

რისკის მიტიგაცია

ლიკვიდობის რისკის გასაწესრიგებლად ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ასევე მონიტორინგის სამსახურის მიერ მუდმივად კონტროლდება ფულადი ნაშთები თვითმომსახურების ტერმინალებში, რათა დროულად მოხდეს ფულადი სახსრების მობილიზაცია საბანკო ანგარიშებზე.

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

5. საკრედიტო რისკი

რისკის აღწერა

საკრედიტო რისკი არის რისკი, როცა ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. კომპანიას საკრედიტო რისკი წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში და ფულისა და ფულის ეკვივალენტების შემთხვევაში (ფული და ფულის ეკვივალენტების შემთხვევაში ლიკვიდურობის გამო საკრედიტო რისკი არაარსებობს).

რისკის მითიგაცია

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც იგი აფასებს მომხმარებლის კრედიტუნარიანობას ინდივიდუალურად, სანამ იგი შესთავაზებს მომსახურების მიწოდებას. გადახდის, მიწოდებისა და სხვა პირობების მიხედვით. მომხმარებელთან კრედიტუნარიანობის ანალიზის დროს ისინი ჯგუფდებიან ვადაგადაცილების მიხედვით, მიუხედავად იმისა ფიზიკური პირია, თუ იურიდიული პირი. მაღალი რისკის მქონე მომხმარებლები გადადიან რესტრუქტურირებულთა სიაში და კონტროლდება ხელმძღვანელობის მიერ უშუალოდ, ხოლო მომსახურება მიეწოდებათ ავანსის პირობით.

6. სავალუტო რისკი

რისკის აღწერა

კომპანიის წინაშე დგას სავალუტო რისკი, რომელიც არის კურსის ცვლილებით გამოწვეული. თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ვალუტით სერვისების გადახდების განხორციელება, რაც წარმოშობს ზემოთაღნიშნულ რისკს.

რისკის მითიგაცია

ამ ეტაპზე კომპანია არ ახდენს რისკისგან თავის დაზღვევას დაბალი სავალუტო რისკის არსებობის გამო.

7. მაკროეკონომიკური რისკები

რისკის აღწერა

კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს მაკროეკონომიკური და პოლიტიკური გარემო ფაქტორები, რომლის ძირითადი გამომწვევი მიზეზებია: ინფლაცია, მშპ, რეფინანსირების განაკვეთის ზრდა, ვალუტის გაუფასურება. აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიების ზრდასა და მომხმარებლების გადახდისუნარიანობაზე, რაც საბოლოო ჯამში კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე მოქმედებს.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის პირველადი მონაცემებით 2021 წლის მშპ გაზრდილია და მიაღწია 10.4%-ს.

2021 წელს ინფლაციის დონემ საქართველოში შეადგინა 9.6%, რაც გაზრდილია 2020 წელთან შედარებით (5.2%). ინფლაცია არის დიდი გამოწვევა როგორც საქართველოსთვის ასევე გლობალურად. ამასთან ერთად, ეროვნული ბანკის მიერ მოხდა რეფინანსირების განაკვეთის ზრდა 10.5%-მდე.

რისკის მითიგაცია

კომპანია მუდმივად ცდილობს გარემო ფაქტორების გათვალისწინებით აწარმოოს ბიზნეს საქმიანობა, კონტრაქტორ კლიენტებსა და მომხმარებლებს შესთავაზოს მათთვის ხელსაყრელი პროდუქტებითა და სერვისებით მომსახურება; ამასთან, კომპანიის მიზანია საოპერაციო საქმიანობა მუდმივად პასუხობდეს გარემო ფაქტორებით წარმოქმნილ გამოწვევებს.

შპს “თიბისი ფეი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. COVID-19-ის გავლენა კომპანიაზე

კოვიდ 19-ს 2021 წელს დიდი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ტრანზაქციებსა და შემოსავალზე, ვინაიდან სიტუაცია დასტაბილურდა.

მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 16 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ირაკლი ხატიაშვილი

ფინანსური დირექტორი

ანა ფავლენიშვილი